



## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

---

### თანგა

თანგა, XV ს. დასაწყისში თემურლენგის მიერ შემოღებული მაღალხარისხოვანი ვერცხლის მონეტა (მასა 6,2 გ), ძირითადი ერთეული ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებსა და აღმ. ამიერკავკასიის ფულად სისტემაში. საქართველოს ეს რეფორმა არ შეხებია. თემურლენგის თ-ები საქართველოში არაა აღმოჩენილი. სამაგიეროდ ფართოდ იყო გავრცელებული XV ს. შირვანული თ-ები. აღმოჩენილია როგორც ერთეული, ისე განძის სახით სოფ. საქობოში (ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი), ხორხში (დეშეთის მუნიციპალიტეტი), თამარაშენში (ქარელის მუნიციპალიტეტი), ალში (ხაშურის მუნიციპალიტეტი).

ლიტ.: დ უ ნ დ უ ა გ., სამონეტო მიმოქცევის საკითხისათვის XV ს. საქართველოში, თბ., 1964; Д у н д у а Г. Ф., Д ж а л а г а н и я И. Л., Обращение ширванских монет XV века в Грузии, «Известия АН Азерб. ССР», 1973, №4; 1974, №1; П а х о м о в Е. А., Монетные клады Азербайджана и Закавказья, «Труды Общества обследования и изучения Азербайджана», в. 3, Баку, 1926.

**გ. დუნდუა**

---